ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის 2010-2011 სასწავლო წლის

სამართლის სადოქტორო პროგრამა

(მიმართულება-საერთაშორისო სამართალი)

1. სადოქტორო პროგრამის სახელწოდება
სამართლის სადოქტორო პროგრამა

2. მისანიჭებელი აკადემიური ხარისხი
სამართლის დოქტორი (Doctor Juris / Ph.D. in Law)

3. სადოქტორო პროგრამის ხელმძღვანელი
იურიდიული ფაკულტეტის სრული პროფესორი, აკადემიკოსი ლევან ალექსიძე
(ბიოგრაფიული მონაცემები იხ.: დანართი #1)

4. სადოქტორო პროგრამის საკვალიფიკაციო დახასიათება
ა) პროგრამის მიზანი

სამართლის სადოქტორო პროგრამა მიზნად ისახავს საერთაშორისო სამართლის თეორიული და პრაქტიკული ასპექტების მეცნიერულ კვლევას, საერთაშორისო სამართლის მეცნიერებისა და სამართლებრივი აზროვნების განვითარებას, აგრეთვე არსებული საერთაშორისო სამართლის სისტემის არსის აღქმას და შესაბაბმისი წინადადებების შემუშავებას.

ბ)პროგრამის შედეგი

სამართლის სადოქტორო პროგრამის კურსდამთავრებული უნდა ფლობდეს საერთაშორისო სამართლებრივი პრობლემების სწორი მეცნიერული ინტერპრეტირებისა და საერთაშორისო სამართლებრივი პრობლემების სამართლებრივი მეთოდებით გადაწყვეტის უნარს, აგრეთვე სამეცნიერო კვლევისა და სწავლების თანამედროვე მეთოდებს.

5. სადოქტორო პროგრამაზე მიღების წინაპირობა

სამართლის სადოქტორო პორგრამაზე მიიღებიან სამართლისა და საერთაშორისო სამართლის მაგისტრისა და მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირები, რომლებიც აკმაყოფილებენ დოქტორანტურის მინიმალური სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს, მათ შორის ფლობენ ინგლისურ ენას B2 დონეზე, რაც დადასტურებული უნდა იყოს შესაბამისი სერთიფიკატით.

6. სადოქტორო პროგრამის კომპონენტები

ა) სამართლის სადოქტორო პროგრამა წარმოადგენს სასწავლო პროგრამებისა (სასწავლო კომპონენტი) და სამეცნიერო კვლევების (კვლევითი კომპონენტი) ერთობლიობას და იგი

მოიცავს 180 კრედიტს. აქედან სასწავლო კომპონენტს ეთმობა 60 კრედიტი, ხოლო კველევით კომპონენტს – 120 კრედიტი.

ბ) სასწავლო კომპონენტის სავალდებულო ელემენტებია:

- სწავლების თანამედროვე მეთოდები – 15 კრედიტი;
- პროფესორის ასისტენტობა – 5-10 კრედიტი;
- აკადემიური წერა – 5 კრედიტი;
- პირველი კოლოკვიუმი – 10 კრედიტი;
- მეორე კოლოკვიუმი – 10 კრედიტი.

გ) სასწავლო კომპონენტეის სხვა ელემენტები არჩევითია.

დ) ინდივიდუალურ სასწავლო გეგმას, საერთო საუნივერსიტეტო სქემის ფარგლებში, ადგენს დოქოტრანტი სამეცნიერო ხელმძღვანელთან და სადოქტორო პროგრამის ხელმძღვანელთან შეთანხმებით.

7. სამეცნიერო კვლევების მატერიალურ-ტექნიკური ბაზა

იურიდიულ ფაკულტეტს გააჩნია ბიბლიოთეკა (10,000 ერთეულამდე წყარო), ასევე ელექტრონული ჟურნალი, კომპიუტერული ცენტრი (27 კომპიუტერი), საკონფერენციო დარბაზი, აუდიტორიები, სამეცნიერო ჟურნალი. აგრეთვე: საერთაშორისო სამართლის ინსტიტუტის ბიბლიოთეკა, ინსტიტუტის მიერ წელიწადში ორჯერ გამოცემული საერთაშორისო სამართლის ჟურნალის ელექტრონული და დაბეჭდილი ვერსიები.

8. სადოქტორო პროგრამაზე მისაღები დოქტორანტების რაოდენობა
სადოქტორო პროგრამაში საერთაშორისო სამართლის მიმართულებით შესაძლებელია არა უმეტეს 10 დოქტორანტის მიღება.

9. სადოქტორო პროგრამაში მონაწილე პროფესორები
სადოქტორო პროგრამაში მონაწილეობენ:
პროფესორები: ლევან ალექსიძე, კონსტანტინე კორკელია;
ასოცირებული პროფესორები: ირინე ქურდაძე, გაგა გაბრიჩიძე;

მოწონებულია იურიდიული ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ.

დამტკიცებულია იურიდიული ფაკულტეტის საბჭოს მიერ 07.09.2010.